



დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“  
რექტორის 17/04/2019 წ. №311 ბრძანებით  
შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ რექტორი  
ლელა ქელბაქიანი.



შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

## *შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის*

### *დებულება*

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ (შემდგომში უნივერსიტეტი) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნათა დაცვით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მის უფლებამოსილებას უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ.

#### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო. ამასთან, მისი მუშაობა უნდა იყოს შესაბამისობაში უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

1.2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ის არ აწარმოებს დამოუკიდებელ ფინანსურ ოპერაციებს. მის ფინანსურ ოპერაციებს წარმართავს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური.

1.3. სტუდენტურ თვითმმართველობას შესაძლებელია ჰქონდეს საკუთარი ბეჭედი.

1.4.სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა, ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.5. სტუდენტური თვითმმართველობა შეიმუშავებს საკუთარ დებულებას, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესს.

1.6.სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია: ქუთაისი, აკ.წერეთლის ქუჩა №13,

**მუხლი 2.**დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება.

ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1. სტუდენტი – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩაირიცხა მედიცინის ერთსაფეხურიან, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე.
- 2.2. სტუდენტური თვითმმართველობა – უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.3. უნივერსიტეტი – შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
- 2.4. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია –უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

- 2.5. ფაკულტეტი - უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.6. ფაკულტეტის საბჭო – უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლისაგან;
- 2.7. საერთო კრება – სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან არჩეული დელეგატებისაგან;
- 2.8. პრეზიდენტი – სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;
- 2.9. დელეგატი - წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი.

### **მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები :**

- 3.1. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;
- 3.2. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;
- 3.3. შეიმუშავოს წინადადებები უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ და წარუდგინოს შესაბამის ორგანოს წერილობითი ფორმით;
- 3.4. დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში და შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სამეცნიერო, სპორტული დასვენებისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;

- 3.5. ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებას. ხელი შეუწყოს მათი კულტურების წარმოჩენას უნივერსიტეტის ფარგლებში;
- 3.6. ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმავოს სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
- 3.7. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.
- 3.8. ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამოქალაქო განათლების ღონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
- 3.9. დაეხმაროს სტუდენტებს თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში.

#### **მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება:**

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- 4.1. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- 4.2. შეიმუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
- 4.3. მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს (ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამების კომიტეტის) საქმიანობაში;
- 4.4. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, მოაწყოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო, საქველმოქმედო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები;

4.5. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

4.6. სტუდენტური თვითმმართველობა ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4.7. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში, პროგრამის კომიტეტში და სტუდენტთა სადისციპლინო კომისიებში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) უფლებამოსილია შეიმუშაოს და წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს, პროგრამის კომიტეტს წინადადებები უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

დ) განახორციელებს თავისი დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესს.

4.8. სტუდენტებს უფლება აქვთ, დაარსონ სასპორტო, შემოქმედებითი და სხვა ტიპის კლუბები თავიანთი ინტერესების შესაბამისად იმ პირობით, რომ ამ კლუბების წევრობის შესაძლებლობა ჰქონდეს უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს.

4.9. სტუდენტური კლუბი თვითონვე შეიმუშავებს და ამტკიცებს საკუთარ დებულებას, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებას, შინაგანაწესს და თვითმმართველობის დებულებას.

4.10. სტუდენტური თვითმმართველობა აღიარებს სტუდენტურ კლუბებს. სტუდენტური კლუბი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე, თავად შეიმუშავებს საკუთარ დებულებას.

4.11. სტუდენტური კლუბი ფინანსდება სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 5% პროცენტის ოდენობით.

4.12. რამოდენიმე სტუდენტური კლუბების არსებობის შემთხვევაში თუ მათი რიცხვი იქნება 10-ზე მეტი სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის 50% მათზე განაწილდება თანაბრად.

## **მუხლი 5.** თვითმმართველობის სტრუქტურა

### **5.1.** თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

5.1.1. თვითმმართველობის საერთო კრება;

5.1.2. თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი;

5.2. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების უფლებამოსილება სრულდება უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევის მომენტიდან.

## **მუხლი 6.** სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

6.1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი.

6.2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად.

6.3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

## **მუხლი 7.** სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების დაწყებისა და ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძვლები

7.1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული დელეგატების პირველი შეკრებისთანავე.

7.2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

7.2.1. პირადი განცხადება;

7.2.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

7.2.3. უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;

7.2.4. არასაკაპიო მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ ორი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

7.2.5. სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

7.2.6. გარდაცვალება.

7.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება იწვევს მისი წევრობის შეჩერებას სტუდენტურ თვითმმართველობაში.

## **მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება**

8.1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

8.1.1. მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშობაში;

8.1.2. იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;

8.1.3. დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

8.1.4. მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს, წარუდგინოს დასამტკიცებლად საერთო კრებას და დამტკიცების შემდეგ განახორციელოს ისინი;

8.1.5. მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

8.1.6. განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

8.2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

8.2.1 შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;

8.2.2. დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;



8.2.2. ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

8.2.3. მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

8.2.4. დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების.

## **მუხლი 9.**

სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელსაც არ გააჩნია სათათბირო ხმის უფლება. საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება.

## **მუხლი 10. თვითმმართველობის საერთო კრება :**

10.1. თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

10.2. თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება ტარდება სასწავლო სემესტრში ერთხელ მაინც. თვითმმართველობის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე საერთო კრება შესაძლებელია ჩატარდეს უფრო ხშირადაც.

10.3. თვითმმართველობის დელეგატთა მორიგი საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს თვითმმართველობის პრეზიდენტს.

10.4. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრების მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

10.5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობება საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღით ადრე

10.6. რიგგარეშე თვითმმართველობის საერთო კრება შესაძლებელია მოიწვიოს:

10.6.1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით

10.6.2. თვითმმართველობის პრეზიდენტმა დელეგატთა არანაკლებ 1/4-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

- 10.7. თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა სიითი შემადგენლობის 2/3.
- 10.8. თვითმმართველობის საერთო კრებას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნისას ვიცე-პრეზიდენტი.
- 10.9. თვითმმართველობის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კრების თავმჯდომარის/პრეზიდენტის ხმა.

### **მუხლი 11.** საერთო კრების უფლებამოსილებები

თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია:

- 11.1. თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით დაამტკიცოს თვითმმართველობის წლის სამოქმედო გეგმა;
- 11.2. შეიტანოს ცვლილებები/დამატებები თვითმმართველობის დებულებაში;
- 11.3. თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მიიღოს დადგენილებები, რომელსაც ხელს აწერს თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- 11.4. მათა უბრალო უმრავლესობით აირჩიოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების სათანადოდ ჩატარების უზრუნველსაყოფად, თუ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- 11.5. განხორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებასა და მოქმედ კანონმდებლობას
- 11.6. ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით განსახორციელებელ პროექტებს
- 11.7. ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და ვიცე პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს;

### **მუხლი 12.** თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტი

- 12.1. თვითმმართველობის პრეზიდენტი არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს თვითმმართველობის საერთო კრებას და წარმოადგენს თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- 12.2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პრეზიდენტის დავალების საფუძველზე.
- 12.3. თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავედროულად არის თვითმმართველობის დელეგატი.
- 12.4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტი, რომელიც არის ქმედუნარიანი, სრულწოვანი, არ იკავებს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას და არ არის ნასამართლევია.
- 12.5. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადით 2 წლით.
- 12.6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს თვითმმართველობის წევრთა სრული შემადგენლობის 1/5-ს, ასევე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტის კანდიდატის მხარდამჭერ მინიმუმ 30 სტუდენტის ხელმოწერას.
- 12.7. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა (საერთო სტუდენტების რაოდენობის 50%+1), 5 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, 10 დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

### **მუხლი 13. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;
- ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;
- გ) უძღვება საერთო კრების სხდომებს;
- დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- ე) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;
- ვ) ხელს აწერს საერთო კრების სამართლებრივ აქტებს;
- ზ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;
- თ) შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს საერთო კრებას დასამტკიცებლად, ხოლო დამტკიცების შემდეგ წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასადასტურებლად;
- ი) იღებს პროექტების განაცხადებს და დასამტკიცებლად და დასაფინანსებლად წარუდგენს საერთო კრებას;
- კ) წარადგენს ინიციატივებს საერთო კრებაზე ცალკეულ სტუდენტთა დაფინანსების შესახებ;
- ლ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;
- მ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;
- ნ) ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საპატიო წევრის წოდებას;
- ო) ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

#### **მუხლი 14.**

- 14.1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
- 14.2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა პირს უწყდება უფლებამოსილება.

14.3. თვითმმართველობის პრეზიდენტი ნიშნავს თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტს, რომლის უფლებამოსილება განიზაღვრება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით.

**მუხლი 15.** სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

15.1 ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

დ) სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ე) გარდაცვალება.

15.2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ვიცე-პრეზიდენტი.

**მუხლი 16.** სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

ა) 6 თვეში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;

ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისთვის აუცილებელი მოთხოვნები.

**მუხლი 17.** სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

17.1. ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

გ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

17.2. თვითმმართველობა ვალდებულია გამოაქვეყნოს, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ პერიოდული ანგარიშები და მასში დააზუსტოს თანადაფინანსების ოდენობა და უნივერსიტეტის მიერ გადახდილი თანხის მოცულობა.

## სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის წესი

### მუხლი 18.

- 18.1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ცხადდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომლითაც ამავდროულად განისაზღვრება არჩევნების ვადები.
- 18.2. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისგან.
- 18.3. არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას სტუდენტები და არჩევნების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- 18.4. კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 18.5. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
- 18.6. საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით უფლებამოსილია შესაბამის ფაკულტეტებზე შექმნას საარჩევნო ქვეკომისიები.

## მუხლი 19

- 19.1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
- 19.2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.
- 19.3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორექსონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 19.4. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
- 19.5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას, ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 19.6. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

## მუხლი 20.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრები (დელეგატები) აირჩევიან ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ყველა სტუდენტის მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

## **მუხლი 21.**

- 21.1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელსაც არჩევნების მომენტისთვის აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი და არ უკავია უნივერსიტეტში ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.
- 21.2. არჩევნებში რეგისტრაციის მიზნით სტუდენტურმა ჯგუფმა (რომლის შემადგენლობის 1/3 არის სხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ასეთის არსებობისას) დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას და წარადგინოს შევსებული განაცხადის ფორმა
- 21.3. განაცხადთან ერთად სტუდენტები წარმოადგენენ ჯგუფის სამოქმედო გეგმასა და საარჩევნო პროგრამას.
- 21.4. განაცხადის წარმოდგენის თანმიმდევრობის მიხედვით სტუდენტურ ჯგუფებს ენიჭებათ საარჩევნო ნომერები.
- 21.5. რეგისტრირებულ სტუდენტურ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი სიმბოლიკა.

## **მუხლი 22.**

- 22.1. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება 12 დელეგატისაგან.
- 22.2. არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტური ჯგუფის პრეზიდენტის კანდიდატი ავტომატურად იკავებენ თვითმმართველობის პრეზიდენტის თანამდებობას.

## **მუხლი 23.**

იმ შემთხვევაში თუ არჩევნებში მონაწილე სტუდენტურმა ჯგუფებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება



განმეორებითი არჩევნები საუკეთესო თანაბარი ხმების მქონე ჯგუფებს შორის ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით.

#### **მუხლი 24.**

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დელეგატის სტატუსი მიენიჭება იმავე სტუდენტური ჯგუფის სიით გათვალისწინებულ მომდევნო სტუდენტს. თუ ასეთი სია ამოწურულია, მაშინ დელეგატის სტატუსი მიენიჭება საუკეთესო მეორე შედეგის მქონე ჯგუფის ნუმერაციით მომდევნო სტუდენტს.

#### **მუხლი 25.**

- 25.1. სათანადო წესით რეგისტრირებულ სტუდენტურ ჯგუფს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა ჯგუფი სარგებლობს თანასწორი უფლებებით.
- 25.2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
- 25.3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ: ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;  
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.
- 25.4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
- 25.5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

## მუხლი 26.

- 26.1. საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
- 26.2. რეგისტრირებულ პრეზიდენტის კანდიდატთა სიას აქვეყნებს საარჩევნო კომისია
- 26.3. საარჩევნო სია გადაეცემა საარჩევნო კომისიას.

## მუხლი 27.

- 27.1. კანდიდატთა (ჯგუფების) რეგისტრაცია მიმდინარეობს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ჯგუფი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.
- 27.2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

## მუხლი 28.

- 28.1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
- 28.2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
- 28.3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
  - ა) ჯგუფის ნომერი
  - ბ) ჯგუფის დასახელება
  - გ) კანდიდატის დასახელება
- 28.4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
- 28.5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ

ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში, მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს ან იმდაგვარად აღნიშნავს სასურველ კანდიდატს, რომ შესაძლებელი იქნება ამომრჩევლის ნების იდენტიფიცირება მისთვის სასურველ კანდიდატ(ებ)თან, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

## **მუხლი 29.**

- 29.1. არაუგვიანეს არჩევნების ჩატარებამდე 5 დღისა კანდიდატად რეგისტრირებულ ჯგუფს შეუძლია წარადგინოს საარჩევნო კომისიაში არაუმეტეს 2 დამკვირვებელი.
- 29.2. დამკვირვებელი უფლებმოსილია შეუზღუდავად გადაადგილდეს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე და დააკვირდეს ყველა საარჩევნო პროცედურას.
- 29.3. საარჩევნო კომისია დამკვირვებლებისათვის ამზადებს სპეციალურ მოწმობებს.
- 29.4. თუ დამკვირვებელი არღვევს წესრიგს უბანზე ან საფრთხეს უქმნის ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ის შეიძლება გაძევებულ იქნეს უბნიდან.
- 29.5. დამკვირვებელს ეკრძალება აგიტაციის წარმოება პირდაპირი ან ირიბი ფორმით.
- 29.6. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
  - ა) ასარჩევი კანდიდატი;
  - ბ) ადმინისტრაციული პერსონალი;
- 29.7. საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

## **მუხლი 30.**

- 30.1. კენჭისყრისთვის ხმის მიცემის პროცედურა იწყება 10:00 საათიდან და მთავრდება 15:00 საათზე.
- 30.2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატი ჯგუფის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
- 30.3. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა 1/3-ზე მეტმა.
- 30.4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.
- 30.5. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
- ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმოწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
  - ბ) თუ არ არის შემოხაზული (იმდაგვარად აღნიშნული რომ ირკვეოდეს ამომრჩევლის ნება) არც ერთი კანდიდატურა;
  - გ) თუ შემოხაზულია/აღნიშნული ერთზე მეტი კანდიდატურა ჯგუფი;
  - დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს/ჯგუფს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
- 30.6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
- ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
  - ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
  - გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
  - დ) თითოეული კანდიდატი ჯგუფის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
  - ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.
- 30.7. გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელმაც მიიღო საერთო სტუდენტთა რაოდენობის - 50%+1 ხმა.

## მუხლი 31.

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
- ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
- ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
- ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

### **მუხლი 32.**

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

### **მუხლი 33.**

33.1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატთა ჯგუფს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

33.2 საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

### **მუხლი 34.**

34.1. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი ოქმით.

34.2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

### **მუხლი 35. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

35.1. ცვლილებებით მომზადებულ წინამდებარე დებულებას ბრძანებით ამტკიცებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო ყოველი შემდეგი ცვლილება, ცვლილების დამტკიცება ხორციელდება თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

35.2. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დოკუმენტში შედის თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

35.3. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ წედებითა და შინაგანაწესით.

35.4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უნივერსიტეტის ყველა სამართლებრივი აქტი/ნორმა, რომელიც წინამდებარე დებულებისგან განსხვავებულად არეგულირებს საკითხებს.

### **მუხლი 36. ძალაში შესვლა**

წინამდებარე დებულება ძალაში შედის და ამოქმედდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.